




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9

2016 წლის 8 თებერვალი



ხაშური

ხაშურში ჯორჯაძის და აგარის ქუჩების მონაკვეთების ასფალტირების სამუშაოების შესყიდვის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურში, ჯორჯაძის და აგარის ქუჩები წარმოადგენს კომპაქტურად დასახლებულ უბანს, სადაც განთავსებულია სკოლა, საცხოვრებელი კორპუსები და სამაშველო სამსახური. აღნიშნული ქუჩები გრუნტოვანია, რაც ნალექიან ამინდში ქმნის გადაადგილების პრობლემას, როგორც ავტომობილით, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის. ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ხაშურში ჯორჯაძის და აგარის ქუჩების მონაკვეთების ასფალტირების სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულებაა 799 997 ლარი. ვინაიდან, აღნიშნული თანხა აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5 პროცენტს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საჭიროებს საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე და „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის №175 განკარგულების შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს განახორციელოს ხაშურში ჯორჯაძის და აგარის ქუჩების მონაკვეთების ასფალტირების სამუშაოების შესყიდვა, რომლის ღირებულება 799 997 ლარი (შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარი) აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეფხავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე